

სპორტიელი

ეროვნული
ბიზლირთვა

სპორტული გაზეთი გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 8 მარტი 1996 № 18 (243) ფასი 40 თეთრი



ყაველა «სიტის» მეორე მართვლია

ეს ცნობა გუშინ ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, მაგრამ...

გუშინვე „ალანიას“ პრეს-ატაშემ ეს ინფორმაცია უარყო

ქართული ფეხბურთის სავიზიტო ბარათმა ალბიონზე — გიორგი ჭინჭლაძემ ინგლისელი მწვერულები საქართველოსკენ გამოაჩვენა. ამის დასტურია „მანჩესტერ სიტისში“ მიხეილ ყაველაშვილის მიწვევა. ბლექბერნელ ალან შირერს, ლივერპულელ რობი ფულერს და ნიუკასლელ ლეს ფერდინანდს სათითაოდ იმაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი, ვიდრე „სიტის“, პოლა, „სიტის“ თავჯდომარე ფრენსის ლი ყაველაში გამოსავალს შედგას. აკი უთხრა კიდევ „ბლექბერნთან“ მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს: „ყაველაშვილი მშვენიერი მოთამაშეა, ჭინჭლაძისგან ვიცი, რომ იგი ძლიერი, სწრაფი და შეტევების კარგი დამაგვირგვინებელი ფეხბურთელია. რატომ უნდა ვთქვათ უარი ნიჭიერ ფორვარდზე? თანაც, რომ იცით, შეტევაში საქმე კულდამიგვდის. საერთოდ, მე ვეროპიდან ნიჭიერთა ჩამოყვანის დიდი მომხრე ვარ. ისინი ინგლისელებზე უკეთ ფლობენ ბურთს და ტექნიკაშიც სწრაფიან ჩვენებურებს. ყაველაშვილი და ჭინჭლაძე „სიტის“ მშვენიერ შემტეველებს შექმნიან“.

ლონდონში „არსენალთან“ 1:3-ზე წაგებული მატჩის შემდეგ ჩვენს ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი მანჩესტერულ ჟურნალისტებს ესაუბრა. მათი თქმით, „სიტის“ ვარჯიშებზე გუნდის ხელმძღვანელობას მიშა ძალიან მოსწონებია და ახლა ერთადერთი პრობლემა ვლადიკავკაზის „სპარტაკი“, იმით ხელმძღვანელობა დიდ ფულს ითხოვს.

არ დავიზრეთ და ვლადიკავკაზში, „სპარტაკ-ალანიას“ პრეს-ატაშეს ანდრეი აირაპეტაიანს დაუკავშირდით...

— ამ ამბის შესახებ ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვეტყვით. ჩემი მონაცემებით ყაველაშვილი მანჩესტერში მხოლოდ გასასინჯადა და არა კონტრაქტზე ხელის მოსაწერად. ჩვენ ჯერ ინგლისელები არ დაგვკავშირებინან და მათი პასუხი არ ვიცით. ასე რომ, ითამაშებს თუ არა მიშა „სიტისში“, ვერ ვეტყვით.

— ის თუა მართალი, ვლადიკავკაზელემა ყაველაშვილში 1,5 მილიონი გირვანკა სტერლინგი მოითხოვეს?

— არ ვიცი, საიდან მოიტანა „სპორტ-ექსპრესმა“ ეს ცნობა. ყოველ შემთხვევაში, იგი სიმათლეს არ შეეფერება.

— სინამდვილეში რამდენს ითხოვთ?

— არ გეწყინოთ, ამაზე პასუხს ვერ ვაგვემთ. ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის თანხები გუნდის საიდუმლოა...

ამასობაში საქართველოს რადიოთი უთქვამთ, ყაველაშვილმა „სიტისთან“ ექვსთვიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი. ტელეფონით იგივე დაგვიდასტურა მიშას მეუღლემ თამუნა ბაგრატიონმა:

— მიშამ მართლაც სეზონის ბოლომდე მოაწერა ხელი კონტრაქტს. თუ „სიტის“ პრემიერლიგიდან არ გავარდა, მაშინ კონტრაქტი გაგრძელდება. ერთ-ორ დღეში მიშა თბილისში ჩამოდის და უფრო ხუხტად თავად გეტყვით ყველაფერს...

აპერკიის ჩაბრუნება საქართველოს ოლიმპიურ გუნდში

ცნობილი ქართველი ხუთბრუნელი, სეკუნდის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვახტანგ აგორაშვილი ოთხი წელიწადია ამერიკაში ცხოვრობს. მას ამერიკის მოქალაქეობა არ მიუღია, თუმცა ერთ-ერთ კლუბში მწვრთნელად მუშაობს.

აგორაშვილი კარგ სპორტულ ფორმაში ყოფილა და გამოუთქვამს სურვილი ამერიკაში მუშაობისა და ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრებში სასაბურთაოდ. საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი და სერჯის გენერალური მდივანი ვჰარ ზენაიშვილი ამერიკაში ყოფნიასს შეხვდნენ აგორაშვილს და ყოველმხრივ მხარდაჭერა აღუთქვეს. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ხუთბრუნელის მხადები-თვის საჭირო თანხების დაფარვა იკისრა. აგორაშვილი იტულებულია დროებით თავი დაანებოს სამსახურს ანუ აიღოს შე-

ბულება ოლიმპიადის ბოლომდე, რათა სრულფასოვნად მოემზადოს.

წინა კვირაში ვახტანგ აგორაშვილმა დიდი უპირატესობით მოიგო ამერიკის ღია ჩემპიონატი ხუთბრუნში. ამ შეჯიბრებაში 30 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ. ვახტანგის შედეგი 400 ქულით აღემატებოდა ოლიმპიადებზე მონაწილეობისთვის დადგენილ ნორმას. საკვალიფიკაციო ტურნირები კი ცოტა ხანში დაიწყება, ერთი მათგანი გაიმართება მექსიკაში, მეორე — იტალიაში.

ამერიკის ღია ჩემპიონატი აგორაშვილის შედეგიდან გამომდინარე, უკვეკლება, რომ იგი იოლად მოიპოვებს ოლიმპიურ ლიცენზიას. ასე რომ, ვახტანგის სახით საქართველოს ატლანტაში ძლიერი ოლიმპიელი და მედლის კანდიდატი შეემატება.

ნახელ

თასების თასის მეთხუთმედიანის პირველი მატჩები გაიმართა:

დინამო — რაპილი 0:1
პარმა — კსმ 1:0
გლადსაზნი — შპინდორლი 2:2

მოსკოვის „დინამო“, ისევე როგორც წინა დღეს „სპარტაკი“, წააგო — ავსტრიელი შტუტგუთის 35-ე წუთზე გატანილ გოლს ვერაფერი უპასუხა.

„პარმა“ მინიმალურად იხვირა: თავი სტოინკოვმა გამოიჩინა 58-ე წუთზე. გერმანელები ორჯერ უგებდნენ როტერდამელებს — ჯერ ვინჩოფის (4), მერე კასტენმაიერის (43) გოლებით, მაგრამ ვან კასტელიმ (34) და რინალდ კუამანმა პენალტით (45) მასპინძლები ფრეს დააჯერეს.

დინამო — ალანი

მატჩი უზასო იქნება

12 მარტის „დინამო“ — „ალანიას“ მატჩის გამო დავინტერესდით, რა ხდება ვლადიკავკაზელთა გუნდში. ტელეფონთან გუნდის პრეს-ატაშე ანდრეი აირაპეტაიანი მოვიდა.

— როსეთის ჩემპიონატის პირველი მატჩი სამარტლებთან რევიშვილის გარეშე ჩატარეთ რა იყო ამის მიზეზი?

— ბოტკინის შემდეგ ზაზა, როგორც იქნა, მწვერბოში ჩადა, საკონტროლო თამაშებშიც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ შემდეგ არ გაუმართლა და დაშავდა.

— რამდენად სერიოზული ტრავმა?

— ისეთი სერიოზული არ არის, რომ ზაზა გუნდს დიდხანს გამოაკლდეს, მხოლოდ კუნთი დაეჭიმა, მაგრამ, ესეც უსიამოვნო ფაქტია. ახლა იგი, თუმცა სრული დატვირთვით არა, მაგრამ მაინც ვარჯიშობს.

— თბილისში თუ ითამაშებს?

— ალბათ.

— თქვენი გუნდი საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვა?

— რასაკვირველია. მხოლოდ კანიშჩევი არ გვეყოლება, რომელმაც სამარტლებთან შეხვედრაში ფეხი იტყინა. საერთოდ, 12 მარტის შეხვედრას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

— ქართველებს თუ გამოიყვანთ?

— უეჭველად, მათ შორის გონა ჯამარაულსაც.

ეროვნული სტადიონის დირექციის ცნობით, თამაშზე დასწრება უფასო იქნება.

